

სალამანდრა

ინდოეთს არის სულიერი ერთი, რომელსა სალამანდრას ეძახიან. სადაც სააგურე ენთება, ან აბანოს სახმილი, ან საკირე, მას ცეცხლში იქმნება და მუნ იპოვების. რა ცეცხლი მოაკლდება, მაშინვე მოკვდება მეტის სიგრილისაგან. ცეცხლის სიცხე არჩენს.

მუნებური მეფე მის ტყავს შეიმოსს სიგრილისათვის. მას ეგეთი აგებულება აქვს, რომე ცეცხლი თუ მოაკლდა, მოკვდება და სხვას სულიერს, თუ ცეცხლი მიეხლო, დასწვავს.

რა რიგადაც სხვადასხვა რიგი აგებულობის პატრონი მფრინველია, აგრევ სხვადასხვა რიგისა კაცია.

შენ მაგ ბუნების პატრონი ხარ, რომე ყოველი კაცი გიყვარს და მე ყოველნი მძულან. მე კი არავინ მძულს, მაგრამ მე ყველას ამაზე ვძულვარ, მეფის ერთგული ვარ. მე ამის მეტი არავინ ვიცი და არცავის ვეფერები, ვირემ მეფე ცოცხალია, არცავინ მინდა თქვენ ყველაყანი სხვასა დაეკვრით და სხვას პირს ჰკრავთ, თვარა მე ვისზე რა დანაშაული მაქვს, რაც ცუდად არ ამიმტერდით.

თქვა რუქამ არაკი: